

ახსნაგანმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „მარნეულის სოკო“ (ს/ნ 434172726) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია 17/05/2018 წელს, მარეგისტრირებული ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. 21/09/2019 წლიდან საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად. საწარმოს მისამართია: საქართველო, მარნეულის რ-ნი, სოფ. კაჩაგანი.

მისი დამფუძნებელია:

ფირუდინ პანაჰლი, C01318988 /აზერბაიჯანი/ 49.5%

შარიხან ველიევი, 28001022100 1%

ფირუზ რზაევი, 0YWB32C, C01188680; C02994682 /აზერბაიჯანი/ 49.5% .

საწარმოს დირექტორია ფირუზ რზაევი.

საქმიანობა და სტრატეგია

საზოგადოებების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტის -

სოკოს წარმოება და რეალიზაცია, აგრეთვე საწარმო პერიოდულად ახორციელებს

საზღვარგარეთიდან (აზერბაიჯანი) გამოზრდილი სოკოს იმპორტს და საქართველოში

რეალიზაციას. საზოგადოება წარმოადგენს მე-3 კატეგორიის საშუალო ზომის საწარმოს, საწარმოში დასაქმებულია 32 კაცი.

საწარმოს პროდუქციას, აგრეთვე საზღვარგარეთიდან შემოტანის საქონელს წარმოადგენს - სოკო (შამპინიონი), რომელიც სსკ. 168.4. „ფ“

ქვეპუნქტის თანახმად გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით.

იმპორტირებული სოკოს რეალიზაცია წარმოადგენს 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციას.

გარდა ამისა პროდუქციის მოცულობის გაზრდის მიზნით საწარმო ახორციელებს იჯარით აღებული სამრეწველო დანიშნულების კომერციული ფართობების რემონტს/მოდერნიზაციას და ახალი საწარმოო ობიექტების მშენებლობას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და განმარტებით შენიშვნებს.

საზოგადოება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დამუშავების პროცესშია და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება საბუღალტრო პროგრამა „ORIS“-ის მეშვეობით.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშს;
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32052	23551	18410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	20757	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	869	3104	0
მარაგები	220926	498490	457697
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	220926	498490	457697
საინვესტიციო ქონება	0	0	0

სხვა მოკლევადიანი აქტივები	10475	27201	1272
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	998167	1009211	476022
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1262489	1582314	953401
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	106000	96000	0
სავაჭრო ვალდებულებები	141261	343873	102569
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	306	306	0
სულ ვალდებულებები	247567	440179	102569
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	30000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1014922	1142135	820832
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1014922	1142135	850832
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1262489	1582314	953401
სულ მოკლევადიანი აქტივები	264323	573103	37747
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4435111	3134661
საქონლის გაყიდვიდან	4156127	3108753
მომსახურების გაწევიდან	239009	0
სხვა	39975	25908
გაყიდვების თვითღირებულება	-4049739	-2279087
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	385372	855574
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-63125	-47896
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-74035	-47249
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-136415	-29495
სულ საოპერაციო ხარჯები	-273575	-124640
საოპერაციო მოგება	111797	730934

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	111797	730934
მოგების გადასახადის ხარჯი	-35852	-65945
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	75945	664989

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	75945	664989
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1142135	850832
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-203158	-373686

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1014922	1142135

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომლის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია:

2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინა შესადარისი საანგარიშგებო პერიოდი -

2021 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების, და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსური პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვ.

მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში.

საანგარიშო პერიოდში საწარმოში საექვო ვალების რეზერვი არ შექმნილა. წინა საანგარიშგებო პერიოდში უიმედო დებიტორული ვალებს ჩამოწერას ზარალზე, ან ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების აყვანას მოგებაზე არ ჰქონდა ადგილი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის აფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია.

შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად ხაზებს ან გეოგრაფიულ სეგმენტებს, რომლებიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. როდესაც ისინი გამიზნული იყო გამოყენებისთვის, შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ოპერაციებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც ცალსახად განსხვავდება სუბიექტის სხვა ნაწილებისგან, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. მათი შედეგები მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ცალკე არის ნაჩვენები და შედარებითი მონაცემები ხელახლა გამოისახება მათი უწყვეტიდან შეწყვეტილ ოპერაციებში რეკლასიფიცირებისთვის.

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების

აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობა - ნაგებობები 2.5 % წრფივი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 10-20 % წრფივი;

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კეთილმოწყობა - 2.5%.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტობრად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით; საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ცალკე ანგარიშგებზე აღირიცხება სოკოს წარმოების (7100 ანგარიშები), სოკოს ვაჭრობის (7200 ანგარიშები) და სოკოს რეალიზაციის (7300 ანგარიშები) ოპერაციები.

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგებასა, სხვა დანიშნულებით გამოყენებული გაუნაწილებელი მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საწარმოს.

საწარმოში დამფუძნებელ ფიზიკური პირებზე გაცემული დივიდენდები დაბეგრილია აღწერილი წესის შესაბამისად.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით და ქონებრივი შენატანით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ანგარიშზე და სალაროში ირიცხება 32053 ლარი.

აქტივები		31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული		31664	20738
საბანკო ანგარიში		389	2813
	სულ	32053	23551

2.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

1. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

აქტივები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	869	3104
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	0
მისაღები პროცენტები	0	20756
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0
სულ	869	23860

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

2.ინვესტიციები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2022	21.12.2021
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	0	0
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	998167	1009211
სულ	998167	1009211

3. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი.საწარმოს სპეციფიკიდან

გამომდინარე მატერიალური მარაგები წარმოადგენს დაუმთავრებელ წარმოებას და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 220 925 ლარს.

მარაგები	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	0	0
მზა პროდუქცია	0	0
დაუმთავრებელი წარმოება	220925	498490
სხვა		0
სულ	220925	498490

4. ძირითადი საშუალებები და

5. საინვესტიციო ქონება

საწარმოს საინვესტიციო ქონება არ გააჩნია.

ძირითადი საშუალებების მონაცემებო მოცემულია ცხრილში

	მანქანად ანადგარე ბი	ძალოვან ი მანქანა- დანადგარე ბი	საწარმოო ინვენტარ ი	ავეჯი და ოფისის მოწყ	სატრანსპ. საშ.	იჯარით აღებული ქონების ქეტილმ ოწყობა
31 დეკ. 2020	172244			1492	61434	270853
შეძენა	42934	1237	329044	7558	67650	269845
გაყიდვა						
ჩამოწერა			164522			
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	23223,00	50	6855	826	12734	6870
31 დეკ. 2022	191955	1187	157667	8224	116350	533828
შეძენა	0	169		4075	24000	34747
გაყიდვა	0					
ჩამოწერა	0					
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	26439	128	17128	873	14981	14485
31 დეკ. 2023	165516	1228	140539	11426	125369	554090

6. სხვა არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები საწარმოს არ გააჩნია

7. 8. კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) . საერთო კრედიტორული ვალის ნაშთი 31.12.2022 წ. მდგომარეობით შეადგენს 237091 ლარი

7. ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური იჯარის ვალდებულება	106000	96000
სავაჭრო ვალდებულებები	141261	343873
ვალდებულებებიო თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	-10475	-27201
გადასახადელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	0
მიღებული ავანსები	306	306
ვალდებულებები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა წინაშე	0	0
სხვა (დასაბრუნებელი თანხა)	0	0

8. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები საწარმოს საანგარიშო პერიოდში არ გააჩნია.

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	0	0

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

9. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავლები საქონლის გაყიდვიდან	4156127	3108753
შემოსავლები მომსახურების გაყიდვიდან	239009	25908
სხვა	39975	4834804
სულ	4435111	3134661

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

10. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	4049739	3108753
მარაგები პერიოდის დასაწყისში		
შესყიდვების ხარჯები		
გადამუშავების დანახარჯები		
მარაგები პერიოდის ბოლოს		
საერთო მოგება	385372	855574

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

11. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

		2022	2021	
სხვა შემოსავალი	11			
სხვა შემოსავალი (ზარალის ანაზღაურება, ჯარიმა და სხვა)				
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული შემოსავალი	11			
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	63 125	47 896	
ცვეთა და ამორტიზაცია	11	74 035	47 249	
საპროცენტო შემოსავალი:	11			
საპროცენტო ხარჯი:	11			
იჯარის ხარჯი	11			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11*	136 415	29 495	გამიფრულია
სულ საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	11	273 575	124 640	

11*. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კაპიტალი

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	63125	47895
ბანკის საკომისიო	12081	6087
საპენსიო ფონდის ანარიცხები	247	245
საიჯარო ქირა	8602	
კომუნიკაციის ხარჯები	93220	
კომუნალური ხარჯები	2762	
რემონტი	7221	6622
საკონსულტაციო ხარჯები		9183
ცვეთა და ამორტიზაცია		3665
წარმოების წვეთა და ამორტიზაცია	74035	43584
ქონების გადასახადი	5440	4023
სხვა საერთო ხარჯი	281	1955
სხვა საოპერაციო ხარჯები	4996	1310
სულ	272010	124569

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების საკუთარი კაპიტალი შეადგენს 1014922 ლარს და შედგება შემდეგ კომპონენტებისაგან.

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	კაპიტალი სულ
2021 წ 1 იანვარი	30000		850832	850832
წლიური მოგება			730934	730934
გაცემული დივიდენდი			-373686	-373686
სხვა			-65945	-65945
2022 წ 1 იანვარი	0	0	1142135	1142135
წლიური მოგება			111797	111797
გაცემული დივიდენდი		0	-203158	-203158
სხვა		0	-35852	-35852
2023 წ 31 დეკემბერი	0	0	1014922	1014922

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებებს საწარმოში ადგილი არ აქვს.

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მეიჯარე

2021- 2022 წლებში საზოგადოებამ გააფორმა 3 საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები. იჯარის აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია ორ ფიზიკურ პირთან და მათი მოქმედების ვადა არის 1 წელზე მეტი. საზოგადოებას იჯარის სახით აღებული აქვს სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები და საწარმოო დანიშნულების ფართი. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 48 000 ლარს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი

ფირუზ რზაევი

